

უკლიერსია ნატო ნასარიძე



სახ. სახ. რესპუბლიკა

საპარტიზო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პარტიაში მონაწილეობის სახელმწიფო ორგანიზაციისა

ფინსვლას ამახს კვირია

ალბათ უფრო ჰაბუკთა სპორტში თუ ხდება ის სწრაფი პროგრესი...



ჩინაურა და საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-7 ადგილზე აღმოჩნდა...

რანის ნაკრები, მესამე ადგილზე დარჩა (71 ქულა). პირად ასპარეზობაში საქართველოს სპორტსმენებმა ერთი ოქროს მედალი მიიღოვეს...

ისეთი ცნობილი მშვილდოსნები, როგორებიც არიან ჩემოქსარელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ირინა სოლდატოვა...

მა (ე. ეშევი, გ. მიტროფანოვი, ვ. ლისენკო). მეორე ადგილი ხვდა მოსკოველებს — 919 ქულა...

სვა იმ ფაქტს, რომ ბოლო წლებში თბილისის ვარდა ქარგი მშვილდოსნები აღიზარდნენ ბათუმში...

Table with 2 columns: Name and Score. Includes entries like 'დინამო' (8), 'კალევი' (28), etc.

კიდევ ერთი გოგონა-მშვილდოსანი

მს სათაური ჭიდაობის სამყაროში მეტად პოპულარული გვარის გამო მივეცი ამ ჩანახატს...



თოდ სპორტში კი არა, სწორედ ჭიდაობაში გადამწყვეტილება სწორი და შეუვალი აღმოჩნდა...

რიაში გამოდის, თვალშეუვალი სიწრაფით შეუძლია სძლიოს მეტოქეს. იგი ამ მხრივ ახლახან თბილისის სპორტის სასახლეში...

ბთი სახეობების განყოფილების უფროსი მწვრთნელ რევაზ პავლეს მე მანჯავიძეს მიენიჭა...

# გართლას ეპი სიქველას საჭირი

**დავით** ოქროს, მაგრამ სათქმელი როცა მოგვიძლია, მოსვენებას არ მოგვცემს და ხელთ კალამს ავადებინებს, ვინ იცის რა მარს არ გადაეყრები. სულმანათ სულხან-საბა ორბელიანის არ იყოს — ნაღბანდობს რა მრავალი? ვახუშტი „ლელოში“ ჩემი დებიუტი უიღბლო გამოდგა. იქ ამას წინათ ერთი პატარა წერილი გამოვაქვეყნე (1990, № 20, 30 იანვარი, გვ. 2) და შეჩვენება დავამატე. თავს დამესხა ქართული ვერსიის სპორტის ისეთი საეკოლოგიური, როგორც ბრძანდება პედაგოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ ციხაძე. მან ხელთათმინა გადამიღვლო და შეაქვდა შემთხვევა: — „მეტი კომპეტენტურობა“ მერმე შეჩვენება და სათაურქვეშ ფრჩხილებში მალამოფიცნებული ფრაზა მოათავსა: „დიდი მადლობა და მცირე შენიშვნა ბატონ ლევან ფრუბინს“ („ლელო“, 1990, № 29, 11 თებერვალი, გვ. 2).

სახალხო სპორტის ხელში ჩამდგარი გუნდის დამფუძნებელი ტონით მარტინს, რომ „რესპუბლიკაში“ ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტის VIII განყოფილების ეროვნული სახეობების აღდგენასა და საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში მის დანერგვას ეხება“ შენიშვნაში, რაღა გრჯობა, დაუკრეფავი რომ გადმოლინა, მითუმეტეს უამრავ უხუსიტობას უშვებ და მკითხველი შელოდობა შეეცავს. ასეთმა შელოდობებმა „საესტეტიკო მოსალოდნელია. ეროვნული სპორტის აღდგენა-აღორძინების გზაზე შემდგომი ადამიანები არასწორი ორიენტაციით აღუქვან და ვაჭვ ვაჭურულან მათ“ — ვითანხვებით, ფრიად სერიოზული ბრალდება.

ბატონი პროფესორი, ერი რომ დალუპავსგან იხსნას, დაუზარებლად დაფრია და ჩემი ცდუნებების მხილვასა და გასწორებას შეუდგა. ათასი მადლობა მის, თუმცა მკითხველმა რა დააშავა? რატომ ეუხლართავთ გზებს და ვცდილობთ მის დაბნევას, დეზორიენტაციას? თურმე, მე ცოდვილი, არ ვითავაღისწინებ წინაპართა ბრძნულ დარჩენას, ჯადოსნური კვერთხი მომიტარებდა და ხელბრუნებით აღმადგინა ხალხური გართობა-თამაშობები და სპორტის ყველა სახეობა, მათ შორის ქართული კრივი. მართლაც სასწაულომოქმედი ძალა შეუძლებს ჩემს წერილს წამოტყდებოდ ერიადერთ ფრაზას — „აღარას ვამბობ ქართულ კრივზე“. ბატონი პროფესორი საშინლადა აღშფოთებული და ლამის მკრეხელობაში დამლოს ბრალი, რომ ქართული კრივი ქართული ჰიდაობის გვერდით ვახსენე. დაბა, მკითხველო, მხოლოდ და მხოლოდ ვახსენე და სხვა არავითარი კომენტარი არ ვამიყუებ. ამგვარად გაკადნიერდები და ცოტა მეტს ვიტყვი: ქართული სპორტის შემადგენელი ნამდვილი უნდა იცოდეს, რომ ქართული კრივი მართლაც თბილისში ვამართული აყალ-მყალა, თავ-პირის ლეწვა და სისხლის ნთხვევა კი არ იყო, არამედ უძველესი, რაინდული შერქინება, რომელსაც თავისი წესი და რიგი ჰქონდა. მართალია, ხელთათმინებში არ ეცვათ, თავს მხაჯები არ ადგათ, მაგრამ მოსაპარეზენი ზომიერება იცავდნენ, სხეულის საშიში ადგილებში დარტყმას ვრადებოდნენ და არც იყო მიღებული; ძალა ალაღად უპირისპირდებოდა ძალას, ხერხი ხერხს, მამაცობა მამაცობას. ასეთ კრივში გამარჯვებული „კაი ემა“, ციხიბული პიროვნება ხდებოდა, ლეჭყებასა სადღვერძელოებში ხობდას

ასხამდნენ, ქალები ეკეკლუცებოდნენ, ყველას ხიბლავდა მისი ძალღონე, მოქნილობა, გამბედაობა და ვაჟკაცობა. პატივცემულ პროფესორს იმასაც შევახსენებ, რომ ქართული კრივი სპორტული მხოლოდ ქალაქი არ იყო, ვახუშტის მაცნედ აღიარებულ ყველიერის ვართობა-თამაშობებში სოფლად მოკრეფენი მონაწილეობდნენ. ვი, რომ ყოველივე ეს ნაკლებმეწაველილია და ამიტომ ამისი არცოდნა თვით პედაგოგის მეცნიერებათა დოქტორსაც კი ევატეება. რაც შეეხება თავ-პირის დასისხლიანებას, ტენის შერქინებას და ზოგჯერ სიკვდილსაც კი, გეთანხვებით. ძველადღაც და ახლაც კრივის ახლავს ასეთი უბედურებანი. სპორტის ამ სახეობას საერთოდ თუ აკრძალავენ, მე პირადად საწინააღმდეგო არაფერი მექნება.

ბატონო პროფესორო, ბატონო პროფესორო, სად ვწერ, რომ „ფენის ადამის ვარჯიში“ დედაიფის ზურგზე მხოლოდ ქართველებს აქვთ? ნუთუ არ უნდა მამაპატიო მცირეოდენი ლარაკული წიარღვლა — „ნიკიო ლარა, ხე წიქცა“? ანდა, სად ვლიარე წმინდა ქართულ მოვლენად თხილამურები? თუმცა იქვე ბრძანდება: „ცხადია, რაღაც მცირე ნიუანსებში განსხვავებაც არის (ლაბარაკია) ქართულ თხილამურებზე“ (ლ. ფ.), მაგრამ არა იმდენი, რომ ასეთი თოვლსაბიჯებლებით სირბილი მოეწყეთ საქართველოს პირველობები და, როგორც ავტორი ვიჭრობს, გულაურსა და ბაკურიანში ჩამოსული „მილოტის სპორტსმენების“ თვალწინ „თვითმყოფადი ქართული კულტურის პროაგანდა გაწიოს“. თურმე დაუკრეხელია, რომ „სამამულა ომის დროს კავკასიის მთებში გერმანელთა ვაჭვრთნილი დივიზიები ქართველმა მთიელებმა მამაპატიო თხილამურებით დაჯანსაღეს“ (?).

თქვენ ჩემგან არ გესწავლებათ — „ნიუანსებში განსხვავება“ არსებობს და ქართული, უფრო სწორედ ქართულ-კავკასიური თხილამური სრულიად ორიგინალური მოვლენაა, ისევე როგორც ქართულ-კავკასიური ტანსაცმელი და კულტურის სხვა მრავალი ელემენტი, რომელიც, სამწუხაროდ, შესაფერის დონეზე ვერ შეგვისწავლია და კაცს თუ რაიმე ერის სასარგებლოდ წამოსცა, მაშინვე დავამუწავებთ... სპორტის ისტორიაში არასდროს მიმუშავნია და არც ვაპირებ, ოღონდ იმდენი კი ვიცი, ელემენტარული შეცდომა არ დავუშვა და „თხილამურის“ ნაცვლად „თოვლსაბიჯებელი“ არ ვიხმარო, რაზედაც ასე მიბიძგებს პატივცემული პროფესორი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „თხილამურები (თხილამურებისა) 1. მოღუნული და რაკად შეკრული თხილის ან სხვა რაიმე ტოტები ვარდღარდოდ თოვით ხწწნულოთ ვახლოაყოლი; იტრავენ ფენსაქმელებზე. ხმარობენ მთაში დიდ თოვლებს სასაირულოდ; ამჟამად უწოდებენ თოვლსაბიჯ თხილამურებს — ახლა ვაგერცელებული თხილამურებისგან (მნიშვ. 2) ვასაჩიჩევა... 2. ფეხქვეშ ამოსაკრავი გრძელი და ბრტყელი ძელები, თოვლზე სასაირალო, სასაირულო...“ (ქვალ, IV, 1955, გვ. 51).

სპორტის ისტორიკოსთა ნაშრომებში ძეხნის ვარგეც ყველაფერი ნათელია. თოვლზე სასაირალო და სასაირალო „გრძელი და ბრტყელი ძელები“ ქართულმა ყოფამ არ იცოდა, ხმარობდნენ მხოლოდ „საბიჯებელი“ თხილამურებს, შემდეგ ეს შთამომავლობითი სიკეთე დაივიწყეს და უცხოთა ნაბობები ვაბატონეს. ამაზე ვაგებედ და გულსტივილი გამოვთქვი, თან სამამულა ომის დროს

ნამდვილად მომხდარი ამბავი მთავრდებოდა, როცა ადგილობრივი მთიელებმა, ალბინიზმი საგანგებოდ ვაჭვრთნილი გერმანელებთან შედარებით, მამაპატიო თხილამურების მეოხებით უკეთ შეძლეს მანევრირება. ალბათ „გერმანელობა დაჯანსა“ არ უნდა დამეწერა, თუმცა სათქმელს ყოველთვის ვერ მოზომავ, თან გულწრფელად შეგონა ჩასადრებელი არავინ მყავდა.

რაც შეეხება ქართული თხილამურებით შეჯიბრების გამართვას, ჩემს სიტყვას კანონის ძალა არასდროს არ ჰქონია და ახლა რა ღმერთი ვაწყრება? აქვე დავძენ, რომ „თხილამურების“ ნაცვლად ტერმინი „თოვლსაბიჯებელი“ ბატონ პროფესორის აღმოჩენაა. კვლავ მივმართო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს: „თოვლსაბიჯი (თოვლსაბიჯისა) სპორ. რკინის წვეტიანი ჯონი, რომელსაც ბოლოსთან რგოლი აქვს; საქმობა თხილამურებით სისარულოს“ (იქვე, გვ. 467). მაშასადამე, „თხილამური“ სხვა და „თოვლსაბიჯი“ სხვა. ვარნა მე რომ ვინმე მკითხავდეს, ამ ხელოვნურად შეთხზულ, უვარგის გამოთქმას რაპაში დამეკვიდრებულ სიტყვა — „მუჯირას“ ვამჯობინებდი, რომელიც მონადირეთა და საერთოდ მოყვარულ თოვლში მისიარულეთა რკინის წვეტიან ჯონს ჰქვია.

არ ვიცი, ცოდვად რად უნდა დამეწეროს ჩემებურ მდინარეებზე ცურვის შესწავლის ვაკერთ ასახვა. იქნებ ამ ცდას ერთგვარი იდიოლის იერი ვაღსაქვავს, მაგრამ მხოლოდ ქართველთა უპირატესობად არსად არ გამომიცხადებია; ან კიდევ: „ქართულია რასობრივი დახვეწილობა (!)“, რა არს აქ საუკუ? „რასობრივი დახვეწილობა“ შეიძლება ჰქონდეს ქართველს, იაკუმელს, ბუმბულს და ა. შ.

ამ იძულებითი განმარტებების შემდეგ, ჩემს თავამოდებულ კრიტიკის უნდა მოვასხენო: ნაადრევია მისი სიხარული, რომ ბოლოს და ბოლოს „ფაქტობრივ შეცდომაზე და, რაც ყველაზე სასიხარულოდ მიანია, არაკომპეტენტობაში გამომიტერა, იგი ამჟამად ნა-სამიჯნობი წერს: „ასევე ძალზე გამოიჭრა ამისი დაჯერება, მაგრამ ფაქტია, რომ ავტორს ექნაობა ანუ მთაში ვაგერცელებული ფარიკაობა თამაში ჰგონია (გვერდითა) „ხალხური სპორტული თამაშობათა მთელი აკადემია: კენჭობა, ბურთობანი, კუკუ-დილაობა, ხანა და სხვა...“). მე რომ დავლანში კენჭობა — „კენჭობანი“ მიქვს და არა კენჭობა — „კენჭობანი“? „კენჭობა“ შემდგომ თავის ადგილზეა მოხსენებული. საუბრითად, დაბეჭდვის წინ წერილი ანაწყობაში აღარ წამოვიხვეს და ამაზე ვამოწყვიტე ეს კორექტურული ლაფსუსი.

გულწრფელად ვარ ვაოცებული, ბატონი პროფესორი, თან პედაგოგის მეცნიერებათა დოქტორი კამათის აკრძალულ იღეთებს რად მიმართავს? ჩემი წერილიდან თვითმინებულად ამოგლეცილი ამონაწერები მოაქვს და დაკრილი ირემივე სწყურია როგორმე ბრძვიად, სულელად ვამომიყვანოს. ან როგორ მოახერხა წამოჭრილი პრობლემების რიყეში ისე ვავლა, ერთი ქვა არ დანახა. ვამოწყრა ღმერთი და ეს პატარა წერილი დავწერე, რა დავაშავე? მოკრძალებული მიზანი ჰქონდა: მკითხველისათვის შემეხსენებინა, რომ 70 წლის მანძილზე მამაპატიო ცხოვრების წესის უარყოფამ სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანა. ქართული ტრადიციული საოჯახო აღზრდა, რომელიც მიზნობრივად ვაზრებულ ვართობა-თამაშობებს და სპორტულ ვარჯიშებს შეიცავდა, უზრუნველყოფილი იყო რელიგიური იდეოლოგიით, ზრდიდა სუ-

ლიერად და ფიზიკურად პარმონიულად განვითარებულ ადამიანს, ქეშმარიტ ქართველს. აღზრდის ამ სისტემაზე ხელისაღებამ ვადავარების წინაშე ვაგვყენა, ამიტომ კვლავ დაიჭინებთ ვაგიმეორება: „საქართველოს განახლება და აღორძინება კვლავ ეროვნული სპორტით უნდა დაიწყოს“ შემდეგ კი ბატონო, სხვათა გამოცდილებაც ვავიზიარებ, ჩემპიონებიც ვავზარდობ. ნუთუ ჩემს წერილში სადმე წერია ყოველთვის ამის ხელსკვრა და აკრძალვა?

„რა ვყოფთ ოლიმპიურ სახეობებს?“ — მუჭარით მიქნეს თითს კრიტიკოსი. ავტორ მინც ვადავიკითხე ის ჩემი საცოდავი წერილი და ოლიმპიური სპორტული სახეობების უარყოფა ვერსად ვერ ამოვიკითხე.

ამ იძულებითი თავისმართლებას დროს, ერთი აზრი კიდევ ვაიხსნად და თუ კვლავ ბნ ციხაძის რისკავს არ დავიმსახურებ, ვავებდავ და ვიტყვი: ახლა მინც უნდა ვიზრუნოთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ შეჯიბრებებში ქართული ეროვნული სპორტული სახეობანიც შევიტანოთ. არაფრით არ ვართ ჩვენი იაბონელებზე და ნებისმიერ ხალხზე ნაკლები. რადგან მოხდა რევოლუცია და ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას მივალწიეთ (არაფერს არ ვაძილედა რუსულ გუნდებთან უთანასწორო ბრძოლა, დიან „ბრძოლა“ და არა „თამაში“, მსაჯობა ზნედაცემულობა და უსინდისობა, ვაუთუბებული მოგზაურობანი), ჩვენი ქალაქები და რაიონები გამოცოცხლებდა, ნიჭიერი სპორტსმენები ადგოლებზე დარჩებნენ და, რაც მთავარია, დედაქალაქი არ იქნება ყველაფრის მეტა. როგორი მონდობედაც ფეხბურთზე ვამაჯინებთ, სასურველია ასეთივე ფთრა შეეუქმნათ ქართულ ჰიდაობას, რომელიც ვერ კიდევ აღმოსავლეთ საქართველოში იხარჩუნებს მასობრიობას, ასეთივე მონდობედაც ვავაგრძელოთ ის დავაღვლეთ საქართველოში და ყოველ წლიურად მოვაწყუთ ეროვნული ჩემპიონატი, ამასთანავე, რაც განსაკუთრებით საშურია, კვლავ საყოველთაო ვავხადოთ მამაპატიო სპორტული აღზრდის სისტემა. კი ბატონო, ძიუდო, კარატე, უშუ და სხვა მისთანანი დავნერგოთ, ვავავითაროთ, მაგრამ ვერ დედა ვოწამოთ და მერე დედაბავსა. მითუმეტეს ქართული ეროვნული სპორტი უცხოურ არანაკლებად უზრუნველყოფდა ფიზიკური და სულიერი ძალის შეთანაწყობას, ამიტომაც ვადავურით სისხლს წვიმებს და ისტორიულ ბედუქმობათობას, ბუნებრივია, სხვა ფაქტობრივთან ერთად, თორემ ასე რომ დავტოვოთ სათქმელი, რა თქმა უნდა კრიტიკოსის მისიხანებას დავიშინებ.

ემოციურობას და კატეგორიულობას მიწუნებს მეცნიერი, მაგრამ ერთსაც ვაგერცედა თვითონ თავს ვერ აღწევს და საერთოდ უარყოფს ხალხების დაახლოვებაში, მმურ თანაცხოვრებაში სპორტის მნიშვნელობას. ნუთუ ასეთ აქსიომას მტკიცება უნდა, რომ სპორტი, ხელოვნება და მეცნიერება ადამიანებისა და ხალხების ურთიერთობაში ვადაწყვეტო მნიშვნელობისანი არიან. რა თქმა უნდა, ასეთი აზრის აღიარება არ გამოიკრება „სახელმწიფოთა დონეზე მოლაპარაკებებს, შვილობიან პოლიტიკურ ვიზიტებს, დიალოგებს, სამშვიდობო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხელშეკრულებებს“. რატომ ჰგონია კრიტიკოსს, რომ „ლელოში“ დაბეჭდილი ჩემი ვრცახე წერილი ყველაფერ ამაზე ხელისაღებდა ნიშნავს და საერთოდ ვაუქმებს დიპლომატიურ მისიებს? მე ასე ვფიქრობ და ვაზრუნებ, ბატონო პროფესორო, და რატომ

მართმევთ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას?

დღეს, ქართველთა უმოძრაობა და სიმსუქნე ლამის ეროვნულ უბედურებად იქცეს. ამის გამო ვაწინაშე ვერ კიდევ ვამოჩინებმა შევალმა ვურამ ვახუშტიძემ ასტრია, მე მხოლოდ მისი მოსაზრებანა ვავიმეორე და თან დავძინე: ქართული ტრადიციული საოჯახო აღზრდა და კვების რაციონი ასეთ პათოლოგიას გამოიიკრავდა, ხოლო ამჟამად სოციალური ამოსული ნამცხვრების კომარაუჭევა კითარების უფრო ამარჩებს. ნუთუ ეს უნდა გამორჩენოდა მხედველობიდან პედაგოგის მეცნიერებათა დოქტორს? დიან, თუ არ ვინდა, რიყეს ისე ვაიცი, ქვას არ დინახავ.

ბატონი პროფესორო, მისახელებით რა ჩემთვის ძალიან მახლობელ, ავტორიტეტულ მკვლევარებს, სადაც საკუთარი თავიც არ ვაპოვრჩინებ, მკითხველს ისეთ ილუზიას უქმნის, თითქოს ქართული ხალხური სპორტის შესწავლაში ყველაფერი რიგზე იყოს. აღარ მოვერიებთ თქვენს მალად მეცნიერულ რეგალიებს და პირდაპირ ვეტყვი: ამ თვალსაზრისით რაც ვაკეთებოდა მხოლოდ ვაჭვრება და, ჩვენდა სავალაოდ, ხენა ვერ არ დაწყებულა. ბატონებო, მიუტეველად ვავიანებთ, ხელიდან გვევლებოდა აუარაცხელი ეროვნული საუნჯე, ქართულ სოფლებთან ერთად ისობა და ქვობა ისეთი ვანძი, რომელსაც ვერაფრით ვერ დავებრუნებთ; ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერება კი დამოწინა, მიწასთან ვასწორებული და პარალელური და უფრესად საკრიო, სამამულა ფასეულობების ვადამრჩენი დარგის თანამედროვე დონეზე ორგანიზება ვერაფრით ვერ მოხერხდა, თვითონ ვანდღურებული სხვას რას უშველის?

ასეთია, პატივცემული ავთანდილ, მწარე სინამდვილე, ეთნოგრაფია ყველაზე მეტად ეროვნული მეცნიერებაა, ვასავები მიხეზების გამო ყველაზე მეტად ის დაზარაობს. ამ უბედურებაზე ვინც ხმას აღიამილებს, უნდალსი ხარისხებითა და წოდებებით აღუქვრავს „კომპეტენტურ მეცნიერთაგან“ ჩაყოლვას ვერ ასცდება, თქვენი ვამოლაშქრებაც მსგავსი დამოკიდებული ჩემი ვაგვანა.

ლოგის ელემენტარული წესების დარღვევა ქართულ ხალხურ სპორტში კვლავ-ძიების შედეგად „ეთნოგრაფიულ სურვილებამდე“ დაყვანა და, მეტადრე, ყოველივე მისი პრაქტიკაში ვანუხრცილებლობა, რასაც თვითონვე აღიარებთ. მაშ რას მერჩით? დამამცირებლად რატომ მართებთ კუყას? „იმისი მტკიცე იმედც ვვაქვს, — ლაღებთ მეტროის ტონით, — რომ ქართული სპორტის ქეშმარიტი გულშემატკივრები, თუნდაც იგივენი ლევიან ფრუბე და სხვანი მრავალნი, ყოველთვის მოგაჭვნიან თავიანთ ხმას, ოღონდ, ძვირფასო მეგობრებო, რაც შეიძლება ცოტა ემოციები, ცოტა ხმაურიანი პარტიტიზმი, ცოტა ზოგადი სენსტიტივობი, და მეტი კონკრეტულობა, მეტი ფასეული რეგვა-დარგება, მეტი კომპეტენტურობა!“

დაიან, თვითკმაყოფილებით აღსავსე ზიხარო საფხვნოს თავში, მაგრამ ვი რომ „შინ სიტყვას“ ვერ ამბობთ. ამოდ დავრით, ჩემი არაკომპეტენტურობაში (ფუ, რა სიტყვაა ენის მოიტხავს ქარი) ვამოქვრა არ ვამოვიფიდათ, ქართული ეროვნული სპორტისადმი უქნენი დამოკიდებულება კი მთლანად ვამომცდებოდა.

სამწუხაროა!

**ლევან შრუშიძე,**  
ეთნოგრაფი, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

## ტაქრიონი... ბაკურიანიში

**როდესაც** ზოგიერთ სახეობებში ზამთრის VII საკვირიო სპორტკადასტრე შეჯიბრებები უთოვლობის გამო შეწყდა, ამ დროს ბაკურიანში საკმაოდ დიდი თოვლი ილა და შინანი დარები იღვა.

ზამთრის სახეობებისათვის ბაკურიანი რომ უნიკალური ადგილია,

მრავალჯერ თქმულა და მასზე აღარ შეგჩერდები.

კაცმა რომ თქვას, იგი ერთი მონადილი სოფელია და მცირე გამონაკლისის გარდა, უპირველეს ყოვლისა, ამ დაბის მცხოვრები სპორტსმენების იმედი გვაქვს. მეტი რა ქნას ერთმა, თუნდაც მოზრდილმა დაბამ. ხომ არის სხვა თოვ-

ლიანი რეგიონებიც, მაგრამ საქართველოს ნაკრებ გუნდებში სწორედ ბაკურიანელები შედიან ძირითადად.

სიახლეზე გვინდა ვაუწყოთ, ოლიმპიური რეზერვის სკოლის ბაკურიანის ფილიალში ორი თვის მანძილზე შერჩევის მიზნით მიწვეული იყო სოფელ ტაქრისის საშუა-

ლო სკოლის ორმედიანი მოსწავლე. აქედან ზოგიერთი — რამაზ სამსონიძე, ნიკოლოზ კავსაძე, ნუგზარ კურტიანიძე, ნიკოლოზ აიფურაძე და სხვები, როგორც პერსპექტიული მტოტმელები, ჩაირიცხნენ სკოლის ფილიალში. ამ ბავშვებისათვის აქ საერთო საცხოვრებელია, უფასო კვება, ვარჯიშისათვის და სწავლისათვის ყველა პირობაა შექმნილი. პირდაპირ ვეტყვი, ადრე ასე არ იყო. არადა, სხადასხვა სოფლიდან (მარტო მთის რეგიონებს არ ვუი-

სხმობთ) შერჩეული კარგი მონაცემების მქონე მთხილამურელები, რაღა თქმა უნდა, უფრო აირჩევის საუკეთესო, ვისაც შეუძლია სათანადოდ დაიცვას საქართველოს ღირსება.

ასე რომ, ამ წამოწყებას უნდა მივსალმოდოთ და, რაც მთავარია, ვავხაროდოთ მისაღები კონტინენტი. ამით, უთუოდ, დიდად მოიგებს ჩვენი სპორტი!

**ბაბრიელ ბარჯაქაძე.**



# უპაზუპოდ პრაფარი გამოვა

**რასპუპალიკის** სპარტაკილის პროგრამით გათვალისწინებულ ზონალურ პირველობას (აღმოსავლეთის ზონა) თავისუფალ ქვიდობაში აღმოსავლეთ საქართველოს 7 რაიონის გუნდი დააკლდა. შეჯიბრებაზე არ გამოცხადდნენ ახალქალაქის, ახალციხის, ლაგოდეხის, ანაბურდის, სიღნაღის, ქარელისა და ბორჯომის კოლქვიტელები, და ასპარეზობას, რომელსაც საგარეჯო უმასპინძლა, 14 გუნდი შემორჩა.

აქ თითოეულ წონაში პირველ 6 ადგილზე გასული სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის სპარტაკილის ფინალურ ტურნირში, რომელიც მაისის დასაწყისში გაიმართება თბილისში. სპარტაკილის

ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის სურვილი, რასაკვირველია, ყველას ჰქონდა და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა არა მხოლოდ ფინალური შეხვედრები, არამედ ბევრი წინასწარი ორთაბრძოლა და მათგან გამომდინარეობდა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ასპარეზობა სხვა პირობებსაც მოითხოვს... საგარეჯოს ქვიდობის დარბაზი, ასე თუ ისე, აკმაყოფილებს მოჭიდევითა და მათგან გამომდინარეობს, მაგრამ დარბაზს რომ სათანადო საშუალებები და გასახდლები უნდა ჰქონდეს, ეს ყველა იცის, მათ შორის საგარეჯოს რაიონის სპორტის მესვეურებმაც. მაგრამ ცოდ-

ნა მაშინ არის სასარგებლო, როცა პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენება... თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საგარეჯოში (როგორც ყველგან), წყალი გრაფიკით მოდის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ ეს ორ დღეში ერთხელ ხდება. ჩვენი ორლიანი ვიზიტის დროს სპორტდარბაზის ონკანები „დუმდა“.


გარდა უწყობისა, დარბაზში არ იყო გათბობა. ასე რომ, შეჯიბრების მასპინძლებმა დიდი ვერაფერი დახვედრა მოუწყვეს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს...

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: 48 კგ. ავთანდილ ღონიაშვილი (ყვარელი), 52 კგ. ბესიკ ბასიაშვილი (რუსთავი), 57 კგ. გურამ ტატუაშვილი (თბილისი), 62 კგ. გიორგი ბერუაშვილი (თბილისი), 68 კგ. გოჩა გაბოძემ (კასპი), 74 კგ. ლევან ელოშვილი (თბილისი), 82 კგ. ვასილ ქასაშვილი (თბილისი), 90 კგ. გიორგი გო-

ნაშვილი (გურჯაანი), 100 კგ. ბიძინა ჟიჟიაშვილი (მცხეთა), 180 კგ. კობა ლომიშვილი (რუსთავი).

**ლევან უპაზუპოვი.**

**რამდენიმე კვირის წინ** გაზეთ „ლელოში“ დაიბეჭდა საინტერესო მონაზრება საქართველოში სპორტის დეცენტრალიზაციის საპირობების შესახებ, რომ სპორტის ზოგიერთი ხახობის განვითარების ცენტრები თბილისიდან ცალკეულ რაიონებში „განაწილდნენ“. უთუოდ საყურადღებო აზრია, ოღონდ მისი ზორცხესხმისათვის მართლ „გოგრაფიული ცვლილება“ არ არის საჭირო: პირველ ყოვლისა, საჭიროა წესრიგში მოვიყვანოთ ან ავაშუროთ რაიონების სპორტული ბაზები. ცხადია, იხეთ ბაზებზე გვაქვს ლაპარაკი, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს დაკმაყოფილებს.



**დამოუკიდებელი...**

**მართული და აღმოსავლური**  
**ორთაბრძოლის ასოციაცია**  
**(მატა) ატარებს საქართველოს**  
**პირველ ჩემპიონატს კარაბა-**  
**ში.**

ასპარეზობა გაიმართება 2 და 3 აპრილს ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლის დარბაზში. დასაწყისი 11 საათზე.

მონაწილეთა მიღება და რეგისტრაცია — 1 აპრილს სასტუმრო „ამირანში“ (15-დან 20 საათამდე).

# რჩება ტრი

**სულ** ორი ტური და რჩება საქართველოს მოქალაქე ვაჟთა პირველი ლიგის ჩემპიონატის დამთავრებამდე, რომელიც ტყიბულში მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ცნობილი არ არის თუ ვინ მოიპოვებს უმაღლესი ლიგის სამ საზღვრს. ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ ბოლო ორი ტური გაგვცემს.

**მეთოხმეტე ტურში** დიდ ინტერესს იწვევდა იანის პობოვისა და ნურკი მანავაძის შეხვედრა. სხვადასხვა ფერის კუთა ეხდებოდათ თითქოსდა ყაიმი. გარდუვალი იყო, მაგრამ მანავაძემ დაუშვა უხეში შეცდომა და თეთრებმა ადვილად შეძლეს ცენტრალური პაიკის ლაზიერში გაყვანა. მანავაძე იძულებული გახდა შეეწყვიტა წინააღმდეგობა.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: იაშვილი-სიჭინავა 1:0, გოგუშვილი-სუპატაშვილი 0:1, ლეკვეიშვილი-კუჭუშიძე 0:1, ფორჩხიძე-შალამბერიძე 0,5-0,5, მელქონიანი-ლაზარაშვილი 0,5:0,5, ბერაძე-მანაშეროვი 0,5:0,5 კეკელიძე-იგრიანი 0,5:0,5.

**მეთოხმეტე ტურში** პირველი დამარცხება იცვება ბათუმელმა ფელიქს მელქონიანმა. ოჯი თეთრი ფერზეებით ლიდერმა, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტმა ხეჩია სუპატაშვილმა დაამარცხა.

**მეთექვსმეტე სვლაზე** დაზავდნენ გივი გოგიჩაიშვილი და პობოვი. სხვა პარტიების ტექნიკური შედეგები ასეთია: იგრიანი-ბერაძე 1:0, სიჭინავა-ლეკვეიშვილი 1:0, კუჭუშიძე-კეკელიძე 1:0, მანავაძე-ფორჩხიძე 1:0, შალამბერიძე-გოგუშვილი 0,5:0,5, ლაზარაშვილი-იაშვილი 0,5:0,5.

**ამრიგად, თხუთმეტი ტურის შემდეგ** ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: სუპატაშვილი (ქუთაისი) — 11, (14 შესაძლებლობა), კახა შალამბერიძე — 10,5, (14-დან), პობოვი — 10,5, გივი გოგიჩაიშვილი (ყველა — თბილისი) — 10 (14-დან), მანავაძე (ქუთაისი) — 9,5 (14-დან).

# პირველად გამოიყვანეს გუნდი

**„შეპარდენის“** ველისბედისტობა პირველობაში საგზატკეცილო რბოლაში, რომელიც ვანში ჩატარდა, თავი მოუყარა საზოგადოების ყველა უძლიერეს სპორტსმენს. აქ იყვნენ თბილისის, აფხაზეთის, ქობულეთის, ლაგოდეხის, ქუთაისის, ქარელის, რუსთავისა და ვანის წარმომადგენლები.

პროლოგსა და ცალკეულ სტარტებში თავი ისახელა ლაგოდეხელმა სპორტის ოსტატმა ხეჩია ბარბაქაძემ.

ქალთა და გოგონათა შორის ყველას ქობულეთელმა ნატალია სამაშვილმა აჯობა. იგი უძლიერესი იყო ჯგუფურ რბოლაშიც. ვაჟთა ჯგუფურ რბოლაში თბილისელმა სპორტის ოსტატმა ვახტანგ პაპუაშვილმა მოიგო. გამარჯვებულთა შორის იყვნენ ასევე სერგი მალცევი და კოკა რიზაძე.

შეჯიბრება საინტერესოდ ჩატარდა. ეს ინტერესი მეტ-ნაკლებად მონაწილეთა სიმრავლემაც განაპირობა.

(ასპარეზობაში გამოვიდა 120 ველისბედისტზე მეტი). ნიშანდობლივია ერთი გარემოება: ასეთ შეჯიბრებაში პირველად გამოიყვანა მონაწილეები ქარელმა, რაც უპირველეს ყოვლისა, ქარელის პროფტექნიკუმის დირექტორის ნოდარ გოგინაშვილისა და მწვერთვლის გურამ იაკიბაშვილის პირადი დამსახურებაა.

**ავთანდილ გუნია.**  
შეჯიბრების მთავარი მხაჯი

# დაიჯერე ნიშნისა...

**მოდ** და ამის შემდეგ იწამე ნიშნისა, რომ იტყვიან, ცუდად მაქვს დაცდილი... კვირას „გრან-პრის“ მეორე ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად ბრაზილიაში ჩასვლისთანავე მსოფლიოს სამეზღის ჩემპიონი, ფრანგი ალენ პროსტი თავისი მანქანით ქუჩაში შეეჯახა სახანძრო პილანტს, რის შედეგადაც გვერდითი მინა ჩაემსხვრა! ასე თარსად დაწყებული დღე, მისთვის საქმოდ იღბლიანი გამოდგა სარბილზე, სა-

დაც მან გაიმარჯვა „ფორმულა — 1“ კლასის მანქანებით რბოლაში. ორასი ათასი ტემპერატურის სამხრეთამერიკელი მათყურებლის ყიყინამ ვერაფერი „დააკლო“ ფრანგ

სპორტსმენს და მან პირველობა გადაწყვეტა ფინისის ზღვარი. მეორე იყო ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი, მასპინძელთა კერპი აირტონ სენა მხოლოდ მესამე მივიდა ფინშიან. მიუხედავად ამისა იგი 13 ქულით სათავეში უდგას მსოფლიო ჩემპიონატს, პროსტი მეორეა — 9 ქულა.

ჩემპიონატის მომდევნო, მესამე ეტაპი სან-მარინოში გაიმართება 13 მაისს.

**მეთექვსმეტე სვლაზე** დაზავდნენ გივი გოგიჩაიშვილი და პობოვი. სხვა პარტიების ტექნიკური შედეგები ასეთია: იგრიანი-ბერაძე 1:0, სიჭინავა-ლეკვეიშვილი 1:0, კუჭუშიძე-კეკელიძე 1:0, მანავაძე-ფორჩხიძე 1:0, შალამბერიძე-გოგუშვილი 0,5:0,5, ლაზარაშვილი-იაშვილი 0,5:0,5.

**11 მარტს** ამერიკის ქალაქ ფენიქსში სტარტი აიღო მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატმა. აი, როგორი მანქანებზე უნდა შეხვდნენ ახალ სეზონს პილოტები.

**„ფორმულა 1“: 306 306 არის?“**

გება—5; II — 9; ქულა — 179,5.

**10. ალექს კაფი** (იტალია, „ფორულა“): სტარტი — 40; ქულა—4.

**11. დევიდ უორვილი** (ინგლისი, „ლოტუსი“): სტარტი — 108; II—2; III—2; ქულა—61.

**12. მარტინ დონელი** (ირლანდია, „ლოტუსი“): სტარტი — 2.

**15. მაურილიო გუფელმინი** (ბრაზილია, „მარჩი“): სტარტი — 29; III—1; ქულა — 9.

**16. ივან კაპელი** (იტალია, „მარჩი“): სტარტი — 48; II—1; ქულა — 19.

**17. ოდიევი ვრუიარი** (საფრანგეთი, „ოსეკა“): სტარტი — 10; ქულა — 1.

**19. ალესანდრო ნანინი** (იტალია, „ბენეტონი“): სტარტი — 55; მოგება — 1; II—1; III—3; ქულა—46.

**20. ნელსონ პიკე** (ბრაზილია, „ბენეტონი“): სტარტი — 173; საკვალიფიკაციო რბოლა — 24; მოგება — 20; II—19; III—14; ქულა — 416.

**21. ანდრეა დე ჩეზარისი** (იტალია, „დალარა“): სტარტი — 134; საკვალიფიკაციო რბოლა — 1; II—2; III—3; ქულა — 38.

**22. ემანუელე პარო** (იტალია, „დალარა“): სტარტი — 9; ქულა — 2.

**23. პიერლუიჯი მარტინი** (იტალია, „მინარდი“): სტარტი — 37; ქულა — 6.

**24. პაოლო ბარიალა** (იტალია, „მინარდი“): სტარტი — 2.

**25. ფილიპ ალიე** (საფრანგეთი, „ლიევი“): სტარტი — 77; ქულა—5.

**ამრიგად, თხუთმეტი ტურის შემდეგ** ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: სუპატაშვილი (ქუთაისი) — 11, (14 შესაძლებლობა), კახა შალამბერიძე — 10,5, (14-დან), პობოვი — 10,5, გივი გოგიჩაიშვილი (ყველა — თბილისი) — 10 (14-დან), მანავაძე (ქუთაისი) — 9,5 (14-დან).

**ვასილ ვაშაძე,** ტელეფონით. „ლელო“ სპეც. კორ. ტყიბული.

**1. ალენ პროსტი** (საფრანგეთი, „ფორარი“): სტარტი — 153; საკვალიფიკაციო რბოლა — 20; მოგება — 39; მეორე ადგილი — 27; მესამე — 14; ქულა — 592,5.

**2. ნაიჯელ მენსელი** (ინგლისი, „ფერარი“): სტარტი — 134; საკვალიფიკაციო რბოლა — 15; II — 7; III — 10; ქულა — 252.

**3. უან ალენი** (საფრანგეთი, „ტაირელი“): სტარტი — 9; II — 1; ქულა — 14, მსოფლიოს 1989 წლის ჩემპიონი „ფორმულა 3000“ კლასში.

**4. სატორუ ნაკაძიმა** (იაპონია, „ტაირელი“): სტარტი — 9; ქულა — 12.

**5. ტიერი ბუტხანი** (ბელგია, „უილიამსი“): სტარტი — 105; მოგება — 2; II—1; III — 11; ქულა—101.

**6. რიკარდო პატრეჯე** (იტალია, „უილიამსი“): სტარტი — 193; საკვალიფიკაციო რბოლა — 3; მოგება — 2; II—8; III — 7; ქულა—129. შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

**7. გრეგორ ფოტევი** (შვეიცარია, „ბრემეში“): სტარტი — 1.

**8. ხტფანო მოდენა** (იტალია, „ბრემეში“): სტარტი — 24; III — 1; ქულა — 6. მსოფლიოს 1987 წლის ჩემპიონი „ფორმულა 3000“ კლასში.

**9. მიქელე ალბორეტო** (იტალია, „ეროლუნი“): სტარტი — 132; საკვალიფიკაციო რბოლა — 2; მო-

**26. ნიკოლა ლარინი** (იტალია, „ლიევი“): სტარტი — 19.

**27. აირტონ სენა** (ბრაზილია, „მაკლარენი“): სტარტი — 19; საკვალიფიკაციო რბოლა — 42; მოგება — 21; II — 15; III — 8; ქულა — 326.

**28. გერჰარდ ბერგერი** (ავსტრია, „მაკლარენი“): სტარტი — 84; საკვალიფიკაციო რბოლა — 5; მოგება — 5; II—5; III — 3, ქულა — 113. 1988 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

**29. ერიკ ბერნარი** (საფრანგეთი, „ლოლა“): სტარტი — 3.

**30. აუგური ხუტუი** (იაპონია, „ლოლა“): სტარტი — 2.

**31. ბერტრან ვაშო** (ბელგია, „კოლონი“): სტარტი — 6.

**33. რობერტო მორენო** (ბრაზილია, „ელუორბუნი“): სტარტი — 5; ქულა — 1.

**34. ბერნდ შნაიდერი** (გერმანია, „ცაკს-პიდი“): სტარტი — 9.

**40. ვაბრიელე ტარკვინი** (იტალია, „ა-ე-ესი“): სტარტი 15; ქულა — 1.

**41. იანიკ დალმა** (საფრანგეთი „ა-ე-ესი“): სტარტი — 17; ქულა — 2.

**42. გერი ბრემეში** (ავსტრალია, „ლიევი“): სტარტი — 1.

მანქანების შეჯამებისას გათვალისწინებულია ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგებიც.

**დავით ჩუბინიძე.**

**კანონისპარ**

**როგორც** ცნობილია, კალათბურთულ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება მაღაზიაში. მოეწყობენ კენჭისყრა, რომელმაც გაანაწილა გუნდები ქვეჯგუფებში.

**I ქვეჯგუფი.** ავსტრალია, ბულგარეთი, იტალია, მაღაზია.

**II ქვეჯგუფი.** სსრ კავშირი, კანადა, ბრაზილია, იაპონია.

**III ქვეჯგუფი.** აშშ, ჩეხოსლოვაკია, სამხრ. კორეა, პირველი გუნდი აფრიკის ზონიდან.

**IV ქვეჯგუფი.** იუგოსლავია, ჩინეთი, კუბა, მეორე გუნდი აფრიკის ზონიდან.

**რედაქციის მართვა:**  
წარმომადგენლები — 28-97-55,  
სამუშაო — 28-97-55,  
ინფორმაციის განყოფილება — 28-97-55,  
„მეგობრები“ — 28-97-38, „მეგობრები“ — 28-97-27.

**რედაქციის მართვა:**  
საქართველოს კვ. ცვ. ავტორების შრომის წილად დროის ორდენისანი სტაჟი. 28-97-55, ახალი, დენის ქ. 14, ახელება ოცნებური წესით ხაჯანოვი კორპუსში: სიმაჩულის, 29.

**რედაქციის მართვა**  
**უ. ზინიანიძე**

**„შეპარდენის“ სტადიონი**  
(ბ. ხმელნიცის ქუჩა № 40).

**31 მარტი**

**შეხვედრები**

საპროტესტო ეროვნული ჩემპიონატი

„შეპარდენი“ (თბილისი) — „ცხუში“ (სოხუმი)

დასაწყისი 17 საათზე

ბილეთები და აბონემენტები გაიყიდება სტადიონის სალონებში 30, 31 მარტს დღის 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან — 15 საათამდე).

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი განაგრძობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა მომზადების ფასიანი კურსების მეხუთე ნაკადის მსმენელთა მიღებას:

5 აპრილიდან სპორტული მასაჟის სპეციალობით, 9 აპრილიდან — ათლეტიკის სპეციალობით და 14 მაისს „უშუს“ სპეციალობით. ფორმა 42. კურსებზე ჩარიცხვამდე ფაკულტეტზე ჩატარდება წინასწარი გასაუბრება.

დაწერილებით ცნობების მიღება შეიძლება დეკანატში. მისამართი: ქვეჯგუფის პროსპექტი 49-ა. ტელეფონი: 23-32-69.

**თბილისის სპორტის სახანძრო**

**1-5 აპრილი**

**მინიფეხბურთის ბავშვთა (1978 წელს დაბადებულნი) ტურნირი „მომავლის მარცხველი“**

ტურნირის ორგანიზატორია საფეხბურთო კლუბი „მრეხველი“.

მონაწილეობენ თბილისის საფეხბურთო სკოლების გუნდები: „მამული“, „მარტვი“, „ლილე“, „ავაზა“, „იბერია“, „მიმინო“, „მერცხალი“, „ჯორჯია“.

სპონსორები: ს/გ „ორიონი“, სსგ „თავთაყის“ სამშენებლო-სარემონტო სამმართველო, უქსოვადი საფეიქრო ქსოვილებისა და ნაწარმის ფაბრიკა, №12 ხიდმშენებლის მექანიზებული სამუშაოების სამმართველო, ლენინის რ-ნის საბინაოსაექსპლუატაციო ტრესტი, გლდანის შემხანველი ბანკი №8323, ტრესტ „თბილმშენის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველო №7.

დასაწყისი: 1 აპრილს 15 საათზე; 2-3 აპრილს 18 საათზე, 4-5 აპრილს 19 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სახანძროს სალონებში 1-5 აპრილს.